საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-08/69

ქ. ბათუმი 05 **სექტემბერი, 2017 წ.**

ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესით გათვალისწინებული დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის“ შესაბამისად **დამტკიცდეს:**

ა) კონკურსანტის განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის მიღების დამადასტურებელი ცნობის ფორმა (**დანართი** 1);
ბ) კონკურსანტის საჩივრის მიღების დამადასტურებელი ცნობის ფორმა (**დანართი** N2);
გ) კონკურსანტთა განცხადებების სარეგისტრაციო ჟურნალის ფორმა (**დანართი N3**);
დ) კონკურსანტთა სააპელაციო საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალის ფორმა (**დანართი N4**);

2. საპროცედურო კომისიის წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნეს წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ფორმები, კერძოდ:

ა) კონკურსანტთა განცხადებების და შესაბამისი დოკუმენტაციის მიღება აღირიცხოს სპეციალურ ზონარგაყრილ სარეგისტრაციო ჟურნალში (დანართი 3), რომლის ყოველი გვერდი წინასწარ დანომრილი და დამოწმებული იქნეს რექტორის ხელმოწერითა და ბსუ-ს კანცელარიის ბეჭდით;
ბ) კონკურსანტის განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის მიღების შემთხვევაში (მას შემდეგ, რაც გადამოწმდება ამ დოკუმენტაციის ელექტრონულად წარმოდგენა) საპროცედურო კომისიის მიერ განმცხადებელზე გაიცეს ცნობა (დანართი 1). განმცხადებელი ვალდებულია ხელი მოაწეროს განცხადების სარეგისტრაციო ჟურნალში მისი განცხადების შემოტანის შესახებ შესაბამის გრაფას (დანართი 3).

საკონკურსო ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება (აღნიშნულის შესახებ შესაბამისი ჩანაწერი შესრულდეს სარეგისტრაციო ჟურნალში და საპროცედურო კომისიამ დაუყოვნებლივ წარუდგინოს სამსახურებრივი ბარათი უნივერსიტეტის რექტორს);

გ) საპროცედურო კომისია უზრუნველყოფს კონკურსანტის სააპელაციო საჩივრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეგისტრაციას საჩივრის სარეგისტრაციო ჟურნალში (დანართი 4) და კონკურსანტს გადასცემს ცნობას (დანართი 2), რომელშიც აღინიშნება საჩივრის კომისიაში მიღების თარიღი და დრო.

3. საკონკურსო კომისიების საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფის წევრს, გიორგი დიასამიძეს დაევალოს უზრუნველყოს ბსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ფორმების ასლების დამზადება და საპროცედურო კომისიისათვის მიწოდება.

4. ეთხოვოს რექტორის მოადგილეს, ქალბატონ თამარ სირაძეს წინამდებარე ბრძანების აღსრულებაზე კონტროლის განხორციელება.

5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, საპროცედურო და სამუშაო ჯგუფის წევრებს.

6. ბრძანება ძალაშია 2017 წლის 5 სექტემბრიდან.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

დანართი 1

ცნობა № . . . . . .

/ნომერი სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით/

საკონკურსო განცხადების მიღების შესახებ

ეძლევა . . . . . მასზედ,

რომ ---------- (წელი, თვე, რიცხვი) შემოიტანა განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია ბსუ-ს შემდეგი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ფაკულტეტი: . . . . . .

დარგობრივი დეპარტამენტი: . . . . . .

მიმართულება/დარგი: . . . . . .

საკონკურსო თანამდებობა . . . . . .

კონკურსანტის განცხადება და შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილია ელექტრონულად ---------- (მიუთითეთ მიღების დრო);

კონკურსანტის მიერ მატერიალური სახით წარმოდგენილია:

1. განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ ------ ფურც.
2. პირადობის მოწმობის ასლი ----- ფურც;
3. კონკურსანტის ანკეტა ------ ფურც;
4. ფოტოსურათი (ზომა 3x4) ----- ფურც;
5. შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყნაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ------- ფურც;
6. ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვა, დამოწმებული/გაცემული შესაბამისი დაწესებულების მიერ) **ან** დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა, გაცემული განცხადების წარმოდგენამდე 10 დღის ვადაში -ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღებისათვის ------ ფურც;
7. საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი მიმართულების სილაბუსი **(სილაბუსები)** -------- ფურც;
8. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესით მოთხოვნილი, ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (სტატია), რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო საქმიანობას --------- ფურც;
9. დარგის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კონცეფცია <u>აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე</u> **<u>(ასისტენტ-პროფესორმა</u> უნდა წარმოადგინოს** მხოლოდ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი

საფეხურისთვის ---------- **ფურც;** ხოლო **ასისტენტმა უნდა წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი)** ---------- **ფურც;**

10. სხვა დოკუმენტაცია, გათვალისწინებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესით (მიუთითეთ დასახელება და ფურცელთა რაოდენობა)

10.1. ----------;

10.2. ----------;

10.3. ----------;

10.4. ----------;

10.5. ----------;

10.6. ----------;

განცხადება მიიღო:

სახელი, გვარი	ხელმოწერა	თარიღი

შენიშვნა:

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, საპროცედურო კომისია აღნიშნავს (შემოხაზავს/გახაზავს) შესაბამის პუნქტს/გრაფას.

წინამდებარე ცნობაში აღნიშნული დოკუმენტების ჩამონათვალის გარდა, **ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა** საპროცედურო კომისიას უნდა წარუდგინოს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსის (სილაბუსების) შესაბამისი მინიმუმ ერთი სახელმძღვანელოს/სალექციო კურსის/რიდერის ელექტრონული ვერსია (იმ ენაზე, რომელ ენაზეც ტარდება ლექცია) და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის პერიოდში მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი (დოკუმენტები), ხოლო **ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კონკურსანტმა** - ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკულის/ლაბორატორიული სამუშაოს ან სხვა აქტივობის სასწავლო მასალა;

დანართი №2

ცნობა № . . . . . .

/სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით/

საჩივრის მიღების შესახებ

ეძლევა . . . . . მასზედ,

რომ ---------- (წელი, თვე, რიცხვი) შემოიტანა საჩივარი ბსუ-ს შემდეგი

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში:

ფაკულტეტი: . . . . . .

დარგობრივი დეპარტამენტი: . . . . . .

მიმართულება/დარგი: . . . . . .

საკონკურსო თანამდებობა . . . . . .

საჩივარი წარმოდგენილია . . . ფურცელზე.

განცხადება/საჩივარი მიიღო:	_____	_____	
	სახელი, გვარი	ხელმოწერა	თარიღი

დანართი №3

ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი
კონკურსის მონაწილეთა
სარეგისტრაციო ჟურნალი

რეგისტრაციის N	განცხადების შემოტანის თარიღი	განმცხადებლის სახელი და გვარი	ფაკულტეტი	დარგობრივი დეპარტამენტი	საკონკურსო თანამდებობა	განცხადებისა და ანკეტის დანართები		ხელის მოწერა		შენიშვნა
						დოკუმენტების რაოდენობა	ფურცლების რაოდენობა	რეგისტ-რატორის	განმცხადებლის	

ჟურნალში დანომრილია, ზონარგაყრილია და . . . . . ბეჭდით დალუქულია . . . ფურცელი.

ხელმოწერა: . . . . . .

. . . . . .

/თარიღი/

დანართი №4

ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი
კონკურსის მონაწილეთა
საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალი

რეგისტრაციის #	საჩივრის შემოტანის თარიღი	საჩივრის ავტორის სახელი და გვარი	საკონკურსო თანამდებობა	საჩივარი და თანდართული დანართები		ხელის მოწერა		შენიშვნა
				საჩივრის ფურც. რაოდენობა	საჩივარზე თანდართული ფურცლ. რაოდენობა	რეგისტრატორი	განმცხა-დებლი/მომჩივანი	

ჟურნალში დანომრილია, ზონარგაყრილია და . . . . . ბეჭდით დალუქულია . . . ფურცელი.

ხელმოწერა: . . . . . .
. . . . . .
/თარიღი/